



თბილისის ილია ჭავჭავაძის
სახელობის ენისა და კულტურის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქა, იარგმანი, ლიტერატურა

სამეცნიერო შრომათა კრებული

VII

გამომცემლობა
“ენა და კულტურა”
2002

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის
ენისა და კულტურის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



ქა, იარგმანი, ლიტერატურა

სამეცნიერო შრომათა კრებული

VII

თბილისი
გამომცემლობა “ენა და კულტურა”
2002

Übersetzungstheorie stützend, das Phänomen des Übersetzungsstils zu bestimmen. Dieses Anliegen wird vom Verfasser folgenderweise definiert: Der Übersetzungsstil ist durch die Auswahl und Kombinierung derjenigen sprachvermittlerischen Transformationen zu bestimmen, von denen sich der Sprachvermittler im Übersetzungsprozess – bewußt oder unbewußt – für die Erreichung der kommunikativen Äquivalenz vorwiegend leiten läßt.

„ცნობიერების ნაკადი“ ორგორც ტექსტი:
სინტაქტიკური პროცესები

„ცნობიერების ნაკადი“, ისევე ორგორც ნებისმიერი ტექსტობრივი ფენომენი, უნდა ვიკვლიოთ ნიშნობრივი ერთეულისათვის დამახასიათებელი სამი განზომილების (პრაგმატიკა, სემანტიკა, სინტაქტიკა) მიხედვით. სემანტიკურ და პრაგმატულ განზომილებებისგან განსხვავებით, „ცნობიერების ნაკადის“ ორგორც ტექსტის სინტაქტიკური განზომილება უშუალოდ აღსაქმელია და სწორედ ამ ფუნქციის მატარებელი ტექსტობრივი სეგმენტებით ვლინდება. მაგრამ ამ ფენომენის სინტაქტიკური განზომილების ქვლევისას აუცილებლად წამოიჭრება შემდეგი სახის კითხვა: ორგორ უნდა გავიაზროთ თანამედროვე ტექსტის სინტაქტიკის (რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ მიკრო- სინტაქსიც) მიმართება „ცნობიერების ნაკადთან,“ ოდესაც თავიდანვე ნათელია, რომ „ცნობიერების ნაკადი“ მოცემული გვაქვს ორგორც ტექსტი, მაგრამ ისეთი ტიპის ტექსტი, რომელიც არ ექვემდებარება ტექსტის თანამედროვე გრამატიკის ძირითად კანონზომიერებებს? მიგვაჩნია, რომ ამ

კითხვაზე პასუხი უნდა გაიცეს შემდეგ მეთოდოლოგიურ ნაბიჯთა გადადგმის გზით:

1) თავდაპირველად, აუცილებელია მთელი შესაძლო კონკრეტულობით ცხადვეც, თუ როგორ „წინააღმდეგობას უწევს“ „ცნობიერების ნაკადის“ ტექსტობრივი „უაქტურა“ თანამედროვე სინტაქსის მიერ შემუშავებულ ცნებით აპარატს – ანუ მოვახდინოთ „ცნობიერების ნაკადის“ როგორც ტექსტის „ნეგატიური“ სინტაქტიკური დახასიათება;

2) შემდეგში კი, ვინაიდან ჩვენი მიზანია „ცნობიერების ნაკადის“ როგორც ტექსტობრივი ფენომენის კონცეპტუალური გააზრება და მისი როგორც კონცეპტის ინტეგრირება ტექსტის ლინგვისტურ თეორიაში, ვცადოთ აღმოვაჩინოთ მისი როგორც ტექსტის სინტაქტიკა, რაც ცხადია, შეუძლებელია არსებულ გრამატიკაზე დაყრდნობით – ანუ მოვახდინოთ ამ ტექსტობრივი ფენომენის „პოზიტიური“ სინტაქტიკური დახასიათება.

ტექსტის ლინგვისტიკაში საყოველთაოდ მიღებული აზრის თანახმად, მიკროტექსტებს, ანუ ზეფრაზობრივი ერთიანობათა შორის (გარე) და მათ შიგნით (შიდა) მიმართებები, ტექსტის ერთიანობას, მთლიანობას განაპირობებს. აქედან გამომდინარე, ტექსტი წარმოუდგენილია არსებობდეს შეკავშირების გარეშე. ტექსტში როგორც მთლიანში კაპოევნიკოვის მიხედვით, შეიძლება გამოიყოს შეკავშირების ორი ძირითადი ტიპი:

1) ლინგვარული ტიპის კავშირი, რომელსაც იგი ამგვარად ახასიათებს: "Когда отдельные части, текста (например, высказываниям связаны непосредственно друг с другом, зависят друг от друга или взаимоосмысляются" (1, 57);

2) რადიალური ტიპის კავშირი, რომელსაც იგი ამგვარად ახასიათებს: "Когда отдельные части текста связаны не непосредственно друг с другом, а только "пучкообразно" с темой всего текста" (1, 56). მისი აზრით, ამგვარი ტიპის კავშირი ახასიათებთ ძირითად „არასიუჟეტურ“ ტექსტებს.

რამდენედაც ჩვენი მიზანია თავდაპირველად „ცნობიერების ნაკადის“ როგორც ტექსტის „ნეგატიური“ სინტაქსური

დახასიათება, მას ჩვენ განვიხილავთ ლინგვარულობის თვალსაზრისით. ხოლო მისი „პოზიტიური“ სინტაქტიკური დახასიათებისას მივმართავთ რადიალური ტიპის კავშირებს.

ლინგვარული შეკავშირება, როგორც კაპოევნიკოვა მიიჩნევს, შეკავშირებულობის კიდევ რამდენიმე ქვეტის გულისხმობას:

1) **აზრობრივი გაბმულობა** (смысловое зацепление), რომელიც, როგორც იგი მიიჩნევს, გამოხატავს ან გულისხმობს ლოგიკურ და დროის ურთიერთმიმართებებს (მიზეზობრივს, შედეგობრივს და აშ),

2) **აზრობრივი „გადაფარვა“** (смысловое зацепление), რომელიც ერთი სემანტიკური კომპონენტის წინარე ინფორმაციის მთლიან ან ნაწილობრივ იდენტურობაში მედავნდება (1,57-58).

გვექნება თუ არა შესაძლებლობა, „ცნობიერების ნაკადის“ სეგმენტებს შორის აზრობრივი მიმართებების თვალსაზრისით კავშირი ვეძიოთ მათ შორის აზრობრივ გაბმულობაში, ან მათ ნაწილობრივ აზრობრივ „გადაფარვაში?“ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ჯელისის „ულისეს“ ბოლო ნაწილიდან პერსონაჟის „ცნობიერების ნაკადის“ ნაწყვეტის საფუძველზე შევცდებით:

O yes that sometimes he used to go to bed with a thing like that night murder you any moment what a man will its not the one way everyone goes mad Poldy anyway whatever he always does wipes his feet on the mat when he comes in wet or shine and always blacks his own boots too he always takes off his hat when he comes up in the street like that... (665).

როგორც ვხედავთ, პერსონაჟის „ცნობიერების ნაკადის“ სეგმენტებს შორის არც დროითი და არც ლოგიკური კავშირები არ შეინიშნება. არცერთი ცალკეული სეგმენტი აზრობრივად არ არის გადაბმული მეორესთან ლინგვარული თვალსაზრისით (თვით სეგმენტების გამოყოფაც პირობითია მათ შორის ლინგვარული თვალსაზრისით აზრობრივი გაბმულობისა და პუნქტუაციის არარსებობის გამო). ასევე არა აქვს ადგილი არცერთი სეგმენტის შინაარსის მთლიან ან

ნაწილობრივი იდენტურობის გამოხატვას, რადგან არცერთი სეგმენტი არ „გადაფარავს“ წინა სეგმენტისაგან მიღებულ ინფორმაციას. ხოლო შეკავშირების ის სიგნალები, რომელებიც პ.კოუენიკოვას აზრობრივი „გადაფარვას“ ემსახურებიან - განმეორება, სინონიმები, პარონიმები, სხვადასხვა მოდიფიკაციები, ერთი სემანტიკური ველის წევრები, დეიქტური მიმართებებში და ა.შ.) „ცნობიერების ნაკადს“ არცერთ მონაკვეთში არ იხმარება აზრობრივი „გადაფარვის“ მიზნით.

მამასადამე, ლენეარული შეკავშირების ისეთი ქვეტიპები, როგორიცაა აზრობრივი გაბმულობა და აზრობრივი „გადაფარვა“, იმ გაგებით, რომელთაც ეს ცნებები გამოიყენებიან ტექსტის ლინგვისტიკაში, „ცნობიერების ნაკადის“ როგორც ტექსტის შეკავშირების ტიპებს არ წარმოადგენს.

ტექსტის მონაკვეთებს შორის აზრობრივ მიმართებათა კავშირების გარდა, პ. კოუენიკოვა ტექსტის შეკავშირებულობას განიხილავს ასევე მისი გამოხატვის თვალსაზრისით, რისი მიხედვითაც იგი გამოყოფს:

1) ექსპლიციტურ კავშირს, რომელსაც იგი ამგვარად ახასიათებს: "по существу то же смысловое зацепление или перекрытие, получившее выражение при помощи разного рода языковых средств (лексических, морфологических, синтаксических)" (1, 60);

2) იმპლიციტურ კავშირს, რომლის შესახებაც იგი ამბობს: "связь не получившая выражения при помощи отдельных языковых средств. В самом широком смысле это оперирование содержанием, находящимся в сознании автора и реципиента (в случае правильно понимания последнего) без прямого его выражения" (1. 60).

შესაძლებელია თუ არა, რადენადმე მაინც გამოკვეთილი სახით, ექსპლიციტურ და იმპლიციტურ კავშირზე ლაპარაკი მაშინ, როდესაც სახეზეა პერსონაჟის „ცნობიერების ნაკადის“ რეალიზაცია?

თუ კვლავ მივმართავთ „ულისეს“ ბოლო ნაწილიდან რომელიმე მონაკვეთს, ენახავთ, რომ პერსონაჟის ფსიქიკიდან ამოტივტივებული ფაქტები, მოგონებები თუ შთაბეჭდილებები, ექსპლიციტურად, ანუ უშუალო ენობრივი მოცემულობით არ გამოხატავს მათ შორის ლინეარულ კავშირს. მოლი ბლუმის ფსიქიკური პროცესის არცერთი სეგმენტი - ლექსიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური საშუალებებით - ექსპლიციტურად არ ემსახურება აზრობრივ გაბმულობასა და აზრობრივ „გადაფარვას“. ასევე შეუძლებელია იმპლიციტურ კავშირზე ლაპარაკი, რომელიც ავტორისა და რეციპიენტის (მკითხველის) მიერ არის ნაგულისხმევი. როდესაც სახეზე „ცნობიერების ნაკადის“ რეალიზაცია ავტორი „გამქრალია“, იგი განზეა გამდგარი, რათა გასაქანი მისცეს „ნაკადის“ ბუნებრივ დინებას. ხოლო პერსონაჟის არაცნობიერი ფსიქიკიდან ამოტივტივებული „უმი“ მასალა იმპლიციტურ კავშირებს არ ექვემდებარება.

პ.კოუენიკოვას აზრით, ლინეარულ შეკავშირებას მიეკუთვნება ისეთი ტიპის კავშირებიც, რომელთა შემთხვევაშიც, ტექსტში შემავალი თითოეული ფრაგმენტი არ არის აუცილებლად დაკავშირებული მომდევნოსთან. ამ თვალსაზრისით იგი გამოყოფს:

1) უწყვეტ კავშირს (плавная, беспрерывная связь), რომელიც ვლინდება ერთი თანდათანობით გავრცობილი ძირითადი თემატური ხაზის ჩარჩოებში;

2) წყვეტილ კავშირს (прерывистая связь), რომელიც გამოიხატება თემათა ცვალებადობაში.

პერსონაჟის „ცნობიერების ნაკადის“ უწყვეტი პროცესის სახით დინების და ამავე დროს, მის ცალკეულ სეგმენტებად, წყვეტილად სტრუქტურირებას არაფერი აქვთ საერთო ლინეარული ტიპის იმ წყვეტილ და უწყვეტ კავშირებთან, რომელთა შესახებაც ზემოთ იყო ლაპარაკი. „ცნობიერების ნაკადის“ სეგმენტებს შორის არც წყვეტილი და არც უწყვეტი ტიპის კავშირი არ იკვეთება, ვინაიდან „ნაკადში“ არ ვითარდება არც თემატური ხაზი და არც თემათა მონაცვლეობას აქვს ადგილი.

„ცნობიერების ნაკადის“ ტექსტობრიობასთან მიმართებისას ასევე ვერ „შუშაობენ“ ლინეარული შეკავშირების ისეთი ტრადიციული საშუალებები, რომლებიც წარმოდგენილია ა.მოსკალსკაიასა და ი.გაქის თეორიებში.

ა.მოსკალსკაიას აზრით, ზეფრაზობრივ ერთიანობებს შეინით, წინადადებები ერთიანდებიან არა მხოლოდ ერთი თემის ირგვლივ, არამედ „მრავალი გარეგანი სიგნალით“, რომლებიც მოუთითებენ იმაზე, რომ ისინი წარმოადგენდნენ ერთი მთლიანის ნაწილს“ (2,26). „გარეგანი სიგნალების როლს ანუ წინადადებებს შორის სტრუქტურული სიგნალების როლს), როგორც იგი მიიჩნევს, ასრულებენ ნაცვალსახელები, არტიკლები, დროები და ა.შ. ზეფრაზობრივი ერთიანობის სტრუქტურული მთლიანობის უზრუნველსაყოფა საშუალებათაგან ა. მოსკალსკაიას მიხედვით შეიძლება გამოიყოს:

ძირითადი სიტყვების რეპურნტულობა, სინონიმური ჩანაცვლების და პერიფრაზების ჩათვლით;

მნიშვნელობით ანლის მყოფი ძირითადი სიტყვები, რომლებიც იმპლიკაციას ეფუძნებიან;

ისეთი გრამატიკული საშუალებები, როგორიცაა დროისა და ადგილის ზმნიზედები, მიზნის, მიზეზის, დროის, შედეგის და ა.შ. გარემოებები;

კავშირები, რომლებიც წინადადებებს შორის კავშირს ამყარებენ;

ე.წ. „შემცვლელი სიტყვები“ – ჩვენებითი, პირის ნაცვალსახელები და ა.შ., რომლებიც განსაკუთრებული ტექსტოლოგიური ფუნქციის როლში გამოდიან (2,27-28).

ლინეარული შეკავშირების საშუალებებს კიდევ უფრო სისტემატიზირებული სახით გვთავაზობს ი.გაქი:

1) სისტაქსურ-გრამატიკული კავშირის საშუალებები;

ა) სიტყვათა თანამიმდევრობა აქტუალურ დანაწევრებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, განასხვავებენ სიტყვათა თანამიმდევრობის ორ ტიპს - თანამიმდევრულს (როდესაც წინადადების რემა მომდევნო წინადადების თემად იქცევა) და

პარალელურს (როდესაც ერთი და იგივე თემა შენარჩუნებულია წინადადებათა ჯაჭვში);

ბ) კავშირები, მაკავშირებელი სიტყვები, ნაცვალსახელის ტიპის ზმნიზედები, რომლებიც ამყარებენ დროის, ლოგიკურ, მიზეზ-შედეგობრივ და სხვა ურთიერთობებს წინადადებებს შორის. ეს ელემენტები სინსემატურნი არიან და მოითხოვენ თხრობის აუცილებელ განგრძობას და ამით უზრუნველყოფენ წინადადებათა შორის კავშირებს;

გ) გრამატიკული დროის ფორმები, რომლებიც მიუთითებენ მოვლენათა კავშირებზე, მათ ერთდროულობაზე ან თანამიმდევრობაზე;

დ) შეკავშირების ლექსიკო-გრამატიკულ საშუალებებს მიეკუთვნებიან სხვადასხვა ანაფორული საშუალებები: მიმათითებელი სიტყვები, არტიკლი (უმეტეს წილად განსაზღვრული), ნაცვალსახელები, დეტერმინატივები;

2) ლექსიკური საშუალებები. მათი გამოყენება, გაკის აზრით, ორ მომენტს ეფუძნება:

ა) თემატური ლექსიკა. რამდენადაც ზეფრაზობრივი ერთიანობა ერთ მიკროთემას გულისხმობს, მასში აუცილებლად ფიგურირებენ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვები, რომლებიც მოცემულ თემასთან არიან დაკავშირებული;

ბ) კორეფერენცია - ერთი და იგივე ობიექტის დენოტატის სხვადასხვა აღნიშნვა. იგი მუდავნდება განმეორებითი ნომინაციისას, რომლის შემთხვევაშიც გამოიყენება, შემდეგი საშუალებები:

1) ლექსიკური განმეორება. განმეორება შეიძლება იყოს პირდაპირი (ბურთი→ბურთი); ასევე ერთი და იგივე ლექსიმა სხვადასხვა შეტყველების წაწილის სახით (მოთამაშე, თამაში);

2) ნაცვალსახელური რეპრეზენტაცია (3,205-206).

თუ „ცნობიერების ნაკადის“ ტექსტობრიობას განვიხილავთ ლინეარული შეკავშირების ზემოთ წარმოდგენილ საშუალებებზე დაყრდნობით, ვნახავთ, რომ არ გვექნება მისი როგორც „ჩვეულებრივი“ ტექსტის აღმის შესაძლებლობა;

სიტყვათა თანამიმდევრული და პარალელური წყობა, რომელიც იგაკა აქეს მოცემული, შეუძლებელია მიუჟადა-გოთ ჩვენი კვლევის ობიექტს, ვინაიდან „ცნობიერების ნაკადის“ არცერთი სეგმენტიდან მიღებული ახალი ინფორმაცია ვერ იქცევა მომდევნო სეგმენტის თემად, ხოლო ლინეარული გაგებით თემატური ჯაჭვი საერთოდ არ იკვეთება;

პორიზონტალურ ჭრილში განლაგებული „ცნობიერების ნაკადის“ ცალკეული სეგმენტები ერთმანეთს არ უკავშირდებიან ლინეარული ტიპის ისეთი აშკარად გამოხატული შეკავშირების საშუალებებით, რომელთაც კავშირები წარმოადგენს;

გრამატიკული დროის ფორმებიდან პერსონაჟის „ცნობიერების ნაკადში“ ძირითადად წარსული დროის ფორმები სჭაბბობენ, მაგრამ ისინი ყოველთვის აწმყოში არიან დალექილი. ყურადღებას იპყრობს უშემასმენლო, ელიფსური წინადადების სიმრავლე, მიმღებების ხშირი მოხმარება, რომლებიც მყისიერი შთაბეჭდილებების დაფიქსირების მიზანს ემსახურებიან;

ლექსიკო-გრამატიკული ტიპის ისეთი ანაფორული საშუალებები, როგორიცაა არტიკლი, ნაცვალსახელი და ა.შ. პერსონაჟის „ცნობიერების ნაკადის“ სეგმენტების ლინეარულად შემაკავშირებელ საშუალებად ვერ გამოდიან, ვინაიდან არცერთი სეგმენტი, როგორც ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტებიდან ვნახავთ, აზრობრივად და სტრუქტურულად (ამ სიტყვების „ჩვეულებრივი“ გაგებით) არ უკავშირდება მოდენოს;

ლექსიკური საშუალებებიდან, რომელთაგანაც იგაკი უპირველეს ყოვლისა, თემატურ ლექსიკას გამოყოფს, „ცნობიერების ნაკადის“ შემთხვევაში, სადაც პერსონაჟის „ნაკადის“ რეალიზაციისას შეუძლებელი ხდება ზეფრაზობრივ ერთიანობათა გამოყოფა, თავისთავად გამოირიცხება თემატურ ლექსიკაზე ლაპარაკი.

მაშასადამე, როგორც ვნახეთ, „ცნობიერების ნაკადის“ ტექსტობრიობა არ ექვემდებარება თანამედროვე მიკროსინ-

ტაქსის მიერ დადგენილ კანონზომიერებებს - ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა „ცნობიერების ნაკადის“ მონაკვეთებს შიგნით ცალკეულ სეგმენტებს შორის კავშირი განვიხილოთ ლინეარული შეკავშირების თვალსაზრისით.

რადგანაც ამ ტექსტობრივ ფენომენს ვერ მოვუდგინთ შეკავშირების ტრადიციულად აღიარებულ საშუალებებზე დაყრდნობით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანია, ცხადყოთ, თუ შეკავშირების რომელ ტიპზე და რომელ საშუალებებზე დაყრდნობით შეგვიძლია მისი როგორც ტექსტის ინტეგრირება ტექსტის ლინგვისტურ თეორიაში.

როგორც გვახსოვს, ლინეარული ტიპის კავშირთან ერთად, პაკუჟევნიკოვას მიხედვით, ტექსტში როგორც მთლიანში შეიძლება გამოიყოს შეკავშირების მეორე ტიპი - რადიალური კავშირი, რომლის შემთხვევაშიც, ტექსტის ცალკეული ნაწილები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან არა უშუალოდ, არამედ „კონების“ სახით (پუცკიინგრაზი).

„ცნობიერების ნაკადის“ როგორც ტექსტის რადიალური შეკავშირების თვალსაზრისით განხილვა აუცილებლად გულისხმობს შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტების გათვალისწინებას: „ცნობიერების ნაკადი“ არ ფარავს ტექსტის მთელ სივრცეს, აღამედ წარმოდგენილია მეტ-ნაკლები მოცულობის მქონე ცალკეული მონაკვეთებით:

ა) ერთის მხრივ, ისეთი ვრცელი მონაკვეთებით, როგორიცაა მაგალითად, მოლი ბლუმის თითქმის 50 გვერდიანი „ცნობიერების ნაკადი“, რომელსაც დათმობილი აქვს მთელი უკანასკნელი თავი.

ბ) ხოლო, მეორეს მხრივ, „ცნობიერების ნაკადის“ ცალკეული მონაკვეთები განფენილია იმ მიკროტექსტებს შორის, რომლებიც ემიჯნებიან შინაგან მეტყველებას და „ჩვეულებრივის“, „გარეგანი“ მეტყველებით არიან წარმოდგენილნი. ასეთ შემთხვევაში, პერსონაჟის „ცნობიერების ნაკადი“ და ავტორის სული „გარეგანი მეტყველება“ ერთმანეთში არიან გადახლართულნი.

ზემოთ მოცემულ მომენტთა გათვალისწინების ფონზე შევცდებით რადიალურად შეკავშირების თვალსაზრისით

განვიხილოთ „ცნობიერების ნაკადის“ მონაკვეთებს შორის კავშირი, რომლის ფარგლებშიც შეიძლება გამოვყოთ მიმართებათა რამდენიმე ტიპი:

1) „ცნობიერების ნაკადის“ მონაკვეთებში წარმოდგენილი სეგმენტების მიმართება იმ მიკროტექსტებთან, რომლებიც არ მიეკუთხებან შინაგან მეტყველებას:

არაიშვიათად, პერსონაჟის „ცნობიერების ნაკადის“ მონაკვეთებში განლაგებული სეგმენტები და ავტორისული „ჩვეულებრივი“, „გარეგანი მეტყველება“, ერთმანეთს ემთხვევა - მათ შორის უშუალო კავშირი შეინიშნება. რადიალურად დაკავშირებულ ამგვარ მონაკვეთებს შესაძლოა რამდენიმე ასეული გვერდი აშორებდეს;

2) „ცნობიერების ნაკადის“ მონაკვეთიდან გამოყოფილი ცალკეული სეგმენტების მიმართება მთელ მეგატექსტებთან „მეგატექსტს“ ჩვენ პირობითად ვუწოდებთ იმ „დიდ“ ტექსტობრივ მთლიანს, რომლის ფარგლებშიც გვხვდება „ცნობიერების ნაკადი“ როგორც ტექსტი.

ძალიან ხშირად პერსონაჟის „ცნობიერების ნაკადში“ ერთის შეხედვით „შემთხვევით“ გამოჩენილი რომელიდაც სეგმენტი პირდაპირ კავშირშია მეგატექსტის ფარგლებში წრიულად მოძრავ თემასთან. თუ ერთ პორიზონტალურ სიბრტყეში განლაგებულ სეგმენტებს, რომელთა შორის კავშირი არ შეინიშნება, დავუკავშირებთ ამ თემას, ნათელი განვითარება პერსონაჟის „ნაკადში“ ამა თუ იმ კონკრეტული სეგმენტის „ამოტივტივება“. ასეთ შემთხვევაში კი მეგატექსტური რადიალური კავშირები გვეხმარება თვით „ცნობიერების ნაკადის“ მონაკვეთებს შიგნით ერთ პორიზონტალურ სიბრტყეში განლაგებულ სეგმენტთა შორის კავშირების მოძრავაში;

3) ერთი და იგივე პერსონაჟის „ცნობიერების ნაკადის“ ცალკეული სეგმენტების ერთმანეთთან მიმართება „ცნობიერების ნაკადის“ მონაკვეთის ფარგლებში და ამავე დროს მთლიან მეგატექსტთან.

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ პერსონაჟის „ცნობიერების ნაკადში“ ერთმანეთის გვერდით განლაგებულ

სეგმენტებს შორის ლინეარული კავშირი არ შეინიშნება. მაგრამ თუ ერთი და იგივე პერსონაჟის ფსიქიკიდან ამოტივტივებულ გაფანტულ სეგმენტებს რადიალურად დავაკავშირებთ, ვნახავთ, რომ ამ სეგმენტებს შორის კავშირის მოძიების საფუძველი არსებობს. პერსონაჟის ფსიქიკაში სხვადასხვა დროს ამოტივტივებული სეგმენტები აშკარა ურთიერთკავშირში არიან. გარდა ამისა, ისინი ერთობლიობაში უკავშირდებან მთლიან მეგატექსტს, რაც ნათელს პფენს ერთის შეხედვით სრულიად მოულოდნელად ამოტივტივებულ სეგმენტს - ანუ იგი გასაგები ხდება მთლიანი მეგატექსტის გათვალისწინებით.

„ცნობიერების ნაკადის“ შემცველ მთლიანი მეგატექსტის ინტეგრალურ სტრუქტურაზე დაყრდნობით, როგორც ვნახეთ, შესაძლებელია როგორც მეგატექსტური რადიალური კავშირების, ასევე თვით „ცნობიერების ნაკადის“ მონაკვეთებს შიგნით კავშირების აღმოჩენა.

„ცნობიერების ნაკადის“ როგორც სინტაქტიკური განზომილების კვლევისას ჩვენი მიზანი იყო გამოგვევლინა მისი ამ განზომილების კონტურები - მოგვეხდინა მისი როგორც ტექსტობრივი ფენომენის როგორც „ნეგატიური“, ასევე „პოზიტიული“ სინტაქტიკური დახასიათება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ტექსტის (ისე, როგორც ნებისმიერი „სრული“ ნიშნობრივი ერთეულის განზომილებები პრაგმატიკა, სემანტიკა, სინტაქტიკა) ერთმანეთს განაპირობებენ. ამდენად, „ცნობიერების ნაკადის“ სინტაქტიკაც სრულად შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ მისი სემანტიკის და პრაგმატიკის კლევის პროცესში.

ციტირებული ლიტერატურა:

1. синтаксис текста, Москва, 1968
2. Москальская О.Н. Грамматика текста. Москва. 1981
3. Гак В.Г. Теоретическая грамматика Французского языка, Москва. 1981

Nino Tevdoradze

The Stream of Consciousness as a Text:

Syntactic Problems

Summary

The paper deals with the problem of the syntactic structure of "stream of consciousness" as a kind of text. The fundamental problem related to the syntactic level of this kind of textual phenomenon could be formulated as follows: "Stream of Consciousness" as a text appears to be incompatible with the criteria worked out by modern theory of text. According to this theory two main types of relations among phrases are possible:

- 1) Linear types of relations (immediate linkage among phrases);
- 2) Radial types of relations (phrases related to each other like "bundles").

The syntax of Stream of Consciousness as a textual phenomenon cannot be qualified as system of linear types of relations, contradicting the principles of linear type of linkage. As for the radial type of relations, it can be revealed if we investigate the megatext containing "stream of Consciousness" as textual phenomenon.

References:
1. Chitveradze Lekcioi. Tbilisi, 1981.
2. Mchedlishvili O. H. i Dzumashvili Tsereteli. Tbilisi, 1981.
3. Tari B. I. F. 1981. G. Dzmitrievskaja. Psichologicheskaja Psichologija. Moscow, 1981.